შინაარსი

ტოქსიკური მასკულინობა *1*
ტოქსიკური მასკულინობის საზიანო გავლენა ადამიანების ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე 5
ქართული ტოქსიკური მასკულინობა *7*
ძალადობა და აგრესია. ფემიციდი. 7
დანაშაულისა და მოძალადის გენდერი 8
კვლევის მიზანი, ამოცანები და მეთოდოლოგია *10*
კვლევის შედეგები *11*
ზოგადი მიგნებები 11
მიგნებები ახალგაზრდა ქალების ჯგუფებიდან 13
მიგნებები ახალგაზრდა კაცების ჯგუფებიდან 22
ტაბუდადებული თემები *29*
შეჯამება *30*
ბიბლიოგრაფია *31*

ტოქსიკური მასკულინობა[1]

ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციის (APA) მიხედვით, კაცურობის კულტურული იდეალები სტოიციზმით, კონკურენციით, დომინაციითა და აგრესიით ხასიათდება, ეს ყველაფერი კი საზიანოა თავად კაცებისთვის, ქალებისთვის და მთლიანი საზოგადოებისათვის. კულტურული იდეალების შესრულების გამო კაცები მიდრეკილები არიან არაჯანსაღი ქცევებისკენ, არ აინტერესებთ საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვა იმის ფონზე, რომ სარისკო ქცევებს (დალევა, მოწევა,

[1] ეს მასალა მომზადდა "REDEFINE - გენდერულად ტრანსფორმაციული სამუშაო კაცებთან აღმოსავლეთ ევროპასა და სამხრეთ კავკასიაში" 5-წლიანი პროექტის ფარგლებში. აღნიშნული პროექტი ცდილობს კაცები გენდერული უთანასწორობისა და ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართოს აღმოსავლეთ ევროპისა და სამხრეთ კავკასიის რეგიონში. პროექტს ახორციელებს შვედური არასამთავრობო ორგანიზაცია MÄN, სომხური, ქართული, მოლდოვური და ბელორუსიული არასამთავრობო ორგანიზაციებთან პარტნიორობით. პროექტს აფინანსებს შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტო (Sida). შინაარსზე პასუხისმგებლობა ეკისრება შემქმნელს.

ჩხუბი, მანქანის სწრაფად მართვა) აღიქვამენ ჯანსაღად და უარს ამბობენ ფსიქოლოგიურ დახმარებაზე, თუ ამისი საჭიროების წინაშე დადგებიან (Pappas, 2019). ამ მოვლენას აკადემიურ დებატებში ტოქსიკურ მასკულინობას უწოდებენ.

ტოქსიკური მასკულინობა კაცებში ძალაუფლებისადმი მიდრეკილებას, სექსუალურ და ოჯახურ ძალადობას, ემოციების შეკავებას, მენტალური ჯანმრთელობის გაუარესებას და ტოქსიკურ, ძალადობრივ და ხშირად ჰომოფობიურ ქმედებებში ჩაბმას იწვევს. კაცური იდეალების შესრულებას თავისი საფასური აქვს, რომელსაც ისინი ყოველდღიურ ცხოვრებაში მუდმივი ბრძოლით იხდიან. ამას მოსდევს მათი ფიზიკური, რომელიც კაცობის დამტკიცების გზაზე ხშირად გამოწვეულია არაჯანსაღი და სარისკო ქვეცებით (ჩხუბი, მკვლელობა, ალკოჰოლიზმი, წამალზე დამოკიდებულება) და მენტალურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები, რომლებიც მასკულინური იდეალების შესრულებისას არსებული დაძაბულობითა და შფოთვითაა გამოწვეული.

ტოქსიკური კაცურობის იდეალები მოცემულია ე.წ. „კაცის ყუთში“, რომელიც განიხილება როგორც მახე, რომელშიც კაცები არიან გაბმულნი და ცდილობენ ამ „ყუთში“ მოთავსებული მახასიათებლების შესრულებას, რადგან თუ მათ არ შეასრულებენ, საზოგადოებისგან გაირიყებიან და აღარ ჩაითვლებიან ნამდვილ კაცებად.

სოციოლოგები საუბრობენ 7 სვეტზე[2], რომელთაგანაც შედგება ე.წ. „კაცური ყუთი“. ესენია: **თვითკმარობა, უტეხობა, ფიზიკური მიმზიდველობა, მკაცრი გენდერულ როლები, ჰეტეროსექსუალობა და ჰომოფობია, ჰიპერსექსუალობა, აგრესია და კონტროლი.** ისინი გადაიქცევიან სოციალურ ზეწოლად, რომელსაც საზოგადოება, ოჯახი, თანატოლები და ზოგადად, ადამიანები ახალგაზრდა კაცებზე ახორციელებენ. ქვემოთ განხილულია თითოეული მათგანი.

[2] ინფორმაცია კაცური ყუთის 7 სვეტის შესახებ აღებულია გიორგი ურჩუხიშვილის სადოქტორო პროსპექტუსიდან.

თვითკმარობა ნიშნავს, რომ კაცებმა არ უნდა ილაპარაკონ თავიანთ წუხილებსა და პირად საკითხებზე, ამის ნაცვლად, მათ თვითონ უნდა გადაჭრან პირადი პრობლემები და არ ითხოვონ დახმარება. ამის მსგავსად, **უტეხობა** ნიშნავს, რომ კაცმა უნდა იბრძოლოს უკანმოუხედავად, იყოს ფიზიკურად და მენტალურად ძალიან ძლიერი და დაუმარცხებელი ნებისმიერ სიტუაციაში.

ეს ორი სვეტი **ჰიპერსექსუალობასა** და **აგრესიულობასთან** ერთად, მიჩნეულია მაჩო კაცის მთავარ მახასიათებლებად, რომლებიც ხელს უწყობს კაცურობის გადაჭარბებულ გამოხატულებას, ქალების ჩაგვრის/დაქვემდებარების, კაცური სიამაყისა და თავდაჯერებულობის უკიდურესი გამოვლენის გზით. მაჩოიზმის განვითარება საზიანოა საზოგადოებისთვის, ის ახალისებს ძალადობას, მაგალითად ფიზიკურ და სიტყვიერ ჩაგვრას, რომლითაც კაცები სუსტებად წარმოჩენის შიშის განცდას ახშობენ და ამით თავიანთ სიამაყეს იცავენ.

მესამე სვეტი არის **ფიზიკური მომხიბვლელობა,** რომელიც დაკავშირებულია კაცური სხეულის ესთეტიკურ შესახედაობასთან, რომელიც უნდა იმეორებდეს კაცურობის ჰეგემონურ იდეოლოგიას, ამრიგად, კაცებს უწევთ ამ იდეალის განსახიერება, რადგან წარმატებულ კაცებად ჩაითვალონ და არ დაკავშირდნენ ქალურ თვისებებთან, როგორც ფიზიკური, ასევე ჩაცმულობის ასპექტების გათვალისწინებით.

კაცური ყუთის მეოთხე სვეტია **რიგიდული გენდერული როლები,** რომელიც ფოკუსს ახდენს ტრადიციულ გენდერულ როლებზე, რომლის მიხედვითაც კაცი მარჩენალია, სახლიდან მოშორებით მუშაობს და არ მონაწილეობს შვილების აღზრდასა, თუ ზოგადად, საოჯახო ზრუნვის შრომაში.

მეხუთე სვეტია **ჰეტეროსექსუალობა და ჰომოფობია,** რომელიც ძირითადად დაკავშირებულია სოციალურ მესიჯებთან, რომელიც კაცებს ჰეტეროსექსუალობას აიძულებს, რათა ისინი აღქმულნი იყვნენ ნამდვილ კაცებად. ეს წარმოქმნის ჰომოფობიას, რომელიც განსაკუთრებით ახალგაზრდა კაცებში გვხვდება. კაცობა „ითვლება ჰეტეროსექსუალობის სინონიმად“, როგორც ერთგვარი თვისება,

რომელიც ბიჭებმა უნდა გამოიჩინონ, რომ დაიცვან საკუთარი თავი გეის, ანუ ფემინურობის იარლიყისგან. თინეიჯერი ბიჭები სხვა ბიჭების დაცინვითა და გოგონების სხეულების დაქვემდებარებით ცდილობენ დაამტკიცონ საკუთარი კაცურობა. გოგოს სხეულის მოხმარების პრაქტიკა ჰეტეროსექსუალობის დასამტკიცებელ საბუთად გამოიყენება (Pascoe, 2007).

ამის გამო, ახალგაზრდა კაცები ხშირად განიცდიან ზეწოლას თავიანთი სექსუალური ცხოვრებასა და შესაძლებლობებთან დაკავშირებით, ისინი ფიქრობენ, რომ "ნამდვილ" კაცს ბევრი სექსუალური პარტნიორი უნდა ჰყავდეს და ყოველთვის მზად უნდა იყოს სექსისთვის; ეს არის ის, რასაც კაცური ყუთის მეექვსე სვეტი, **ჰიპერსექსუალობა** იკვლევს. უპირველეს ყოვლისა, ჰიპერსექსუალობა სექსუალური აქტივობისადმი აკვიატებული შფოთვის გამოვლინებაა, რომელიც იწვევს კომპულსიურ სექსუალურ ქცევას. 12 წლიდან ახალგაზრდა კაცები თვალთმაქცობენ, თითქოს მათ უკვე აქვთ სექსი, მიუხედავად გამოუცდელობისა. გარდა ამისა, ცხოვრების განმავლობაში კაცები იგონებენ და ყვებიან უამრავ სექსუალურ მითსა და ამბავს, რომელიც მათი აღქმით, სხვებში მათ კაცურობას გაამყარებს. ქალი განიხილება, როგორც კაცურობის დასამტკიცებელი საშუალება და შესაბამისად, აღქმულია, როგორც სექსუალური ობიექტი.

ბოლო სვეტი, **აგრესია და კონტროლი** მოიცავს იდეას, რომ კაცური ნორმები ხელს უწყობს კაცის მოძალადედ ქცევას, რომელიც სხვებისგან პატივისცემისა და კაცურობის სტატუსის შესანარჩუნებლად უტყუარი საბუთია. კვლევებმა უჩვენა, რომ ბიოლოგიური ინსტიქტები არ არის კაცის ძალადობრივი ხასიათის საფუძველი, ეს უფრო აღზრდასა და მოზარდობაში უნდა მოიძებნოს. მოზარდ კაცებს საზოგადოება მოუწოდებს ძალადობისაკენ, რათა მათ დაამტკიცონ საკუთარი კაცურობა და კონტროლი გარემოზე.

ტოქსიკური მასკულინობის საზიანო გავლენა ადამიანების ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე

კაცურობის ნორმებს უარყოფითი გამოძახილი აქვთ კაცებზე. ძირითადად, ეს კაცების ფიზიკურ ჯანმრთელობას, უფრო მეტად კი მენტალურ ჯანმრთელობას აზიანებს. ისინი ცდილობენ დამალონ და მართონ საკუთარი პრობლემები თავისით, ვინაიდან მათ დაასწავლეს, რომ უნდა იყვნენ თვითკმარნი და ისეთი პრობლემა, როგორიცაა მაგალითად დეპრესია და ამაზე ხმამაღალი საუბარი, თანხვედრაში არ მოდის მათ გენდერთან. შესაბამისად, სწორედ ამის გამო, მათი დიაგნოსტირება არ ხდება და არ არსებობს კაცების მენტალური ჯანმრთელობის პრობლერმების ზუსტი სტატისტიკა. არადა, ისინი ხშირად განიცდიან იზოლაციას, ვინაიდან რეალურ პრობლემებზე საჯაროდ ვერ საუბრობენ, რაც ხშირად მომავალში გადაიზრდება ხოლმე მენტალური ჯანმრთელობის პრობლემებში.

ტოქსიკური მასკულინობა უარყოფით გავლენას ახდენს კაცების სიცოცხლის ხანგრძლივობაზე. მაგალითად, ევროსტატის მონაცემების მიხედვით, ქალების სიცოცხლის ხანგრძლივობა (83.6 წელი) 5 წლით მეტია, ვიდრე კაცების სიცოცხლის ხანგრძლივობა (78.3 წელი) (Eurostat, 2018). მკვლევრები ვარაუდობენ, რომ გენდერულ იდენტობასა და სიცოცხლის ხანგრძლივობას შორის კავშირი არ იხსნება ბიოლოგიურად, საქმე ეხება კაცურ სოციალიზაციას, რაც ნაადრევი სიკვდილიანობის უფრო მაღალ რისკს წარმოადგენს. განსხვავებაზე, რომელიც წარმოიქმნება ქალისა და კაცის სიცოცხლის ხანგრძლივობას შორის, გავლენას ახდენს გენდერული როლის სტრესი, არაჯანსაღი და სარისკო ქცევები, გამოწვეული ტრადიციული კაცურობის მკაცრი სოციალიზაციით, რაც დაკავშირებულია რისკების აღებასთან და დახმარებაზე უარის თქმასთან (Rotundi, 2020).

მნიშვნელოვანი პრობლემების წინაშე დგებიან კაცები საკუთარი **ჰიპერსექსუალობის** გამოც, ვინაიდან ისინი მიიჩნევენ, რომ სექსი უნდა ასიცორდებოდეს დაპყრობასა და თავზეხელაღებულ აქტთან, რის გამოც ხშირად უარს ამბობენ თავის დაცვაზე, რაც მათში იწვევს სექსუალურად გადამდები

დაავადებების გავრცელებას (Skovdal, M., Campbell, C., Madanhire, C., Mupambireyl, Z., Nyamukapa, C., & Gregson, S. 2011).

კაცები არა მხოლოდ ხდებიან ჰეგემონური მასკულინობის ნორმების მსხვერპლნი, არამედ, ისინი ამ ნორმების მთავარი შემსრულებლებიც არიან, მიუხედავად იმისა, რომ ეს ხშირად მათ წინააღმდეგ ბრუნდება. კაცებს შორის ძალადობა არის კარგი მაგალითი იმისა, თუ როგორ უქმნის საფრთხეს კაცური ნორმების შესრულება თავად მათ. ყოველივე ამის შემდეგ, კაცის მხრიდან ძალადობა განიხილება, როგორც კაცურობის საკმაოდ პარადოქსული ნიმუში, რადგან, ერთი მხრივ, იგი აიდეალიზებს ძალას, გამბედაობასა და გმირობას, მეორე მხრივ, აშკარად დამანგრეველია მათი ფსიქიკური და ფიზიკური ჯანმრთელობისთვის.

ძალადობის მსხვერპლ კაცებს რცხვენიათ ამის აღიარება და მალავენ, რომ ცემეს, ან ეძალადნენ, რადგან არ პოზიციონირდნენ სუსტ კაცებად, არადა, ახალგაზრდა კაცებს, რომლებიც ფიზიკური ძალადობის მსხვერპლები გახდნენ, უვითარდებათ ხანგრძლივი მენტალური პრობლემები, დაბალი თვითშეფასება, ფიზიკური აგრესია, ნივთიერებებზე დამოკიდებულება, კოგნიტური შეფერხებები, ნევროლოგიური დისფუნქციები, ემოციური ინდიფერენტულობა და ა.შ.

კაცურობა უარყოფით გავლენას ახდენს არამხოლოდ კაცებზე, არამედ ქალებზეც. ისინი ზარალდებიან კაცების მიერ განხორციელებული ძალადობრივი ქმედებებით, რომლებიც საზიანოა როგორც მათი ფსიქოლოგიური, ასევე ფიზიკური ჯანმრთელობისთვის. კერძოდ, კაცური ნორმების პოპულარიზაცია, როგორიცაა ძალა, სექსუალური სიძლიერე და აგრესია, ქალების დაქვემდებარებას იწვევს და შესაბამისად, კაცების ბატონობას ქალებზე. განსაკუთრებით გავრცელებულია სექსუალური შევიწროვება, რომლის დახმარებით კაცები იმტკიცებენ კაცურ იდენტობას და ასრულებენ თავიანთი სქესისათვის მიკუთვნებულ სოციალურ სტანდარტებს (Rotundi, 2020). კულტურული შეხედულებებისა და სოციალური ქცევების ნაკრები, რომლებიც ახდენენ სექსუალური ძალადობის ისეთი ფორმების ნორმალიზებას, როგორებიცაა გაუპატიურება, სექსუალური შევიწროება და სექსუალური იძულება,

განისაზღვრება "გაუპატიურების კულტურის" სახელით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გაუპატიურების კულტურა ყალიბდება სოციალურ გარემოში, რომლის საშუალებითაც ხდება სექსუალური ძალადობის აქტების ნორმალიზება, გამართლება და თუნდაც, განდიდება, მიზოგინისტური ენის გამოყენებითა და ქალის სხეულის გაობიექტებით (Rotundi, 2020).

გარდა ამისა, ოჯახში ქალებზე მოძალადეთა უმრავლესობა არიან კაცები. ისინი ძალადობენ ცოლებსა და მეგობარ გოგონებზე, იმიტომ რომ კაცურობის იდეალები მათ აძლევს ამის უფლებას. ქალებზე ძალადობით ისინი საკუთარ თავსა და სხვა კაცებს კაცურობას უმტკიცებენ.

ქართული ტოქსიკური მასკულინობა

ტოქსიკურ მასკულინობას საზიანო გავლენა აქვს ქართულ საზოგადოებაზეც. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ბევრი კვლევა არ არის ჩატარებული, შესაბამისად, ამასთან დაკავშირებით არ არსებობს მეცნიერული ცოდნა, თუმცა არსებობს სტატისტიკური მონაცემები, რომელთა მეორადი ანალიზიც საშუალებას იძლევა ზემოთ განვითარებული მსჯელობა ქართულ რეალობასაც მოერგოს.

ძალადობა და აგრესია. ფემიციდი.

ქართული ტოქსიკური მასკულინობის საზიანო გავლენებიდან აღსანიშნავია ე.წ. ფემიციდი. 2014-2022 წლებში ჩადენილია 186 ქალის მკვლელობა, ოჯახური ნიშნით - 92 ქალის, ხოლო სხვა მოტივით - 94 ქალის მკვლელობა. ამავე პერიოდში ჩადენილია 129 ქალის მკვლელობის მცდელობა, მათ შორის ოჯახური ნიშნით - 79 ქალის მკვლელობის მცდელობა, ხოლო სხვა მოტივით - 50 ქალის მკვლელობის მცდელობა. აღსანიშნავია, რომ მკაცრი სისხლის სამართლის პოლიტიკის გატარების შედეგად, 2014 წლიდან 2020 წლამდე ქალთა მკვლელობისა და მკვლელობის მცდელობის მაჩვენებელი შემცირებული იყო, 2020 წელს ისევ

დაფიქსირდა ზრდა, ხოლო 2021 წელს აღინიშნება კვლავ კლება[3]. საქართველოს სახალხო დამცველის ბოლო წლების ანგარიშებში წერია, რომ ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა კვლავ გენდერული ნიშნით მოტივირებული ქალთა მკვლელობებია (ფემიციდი). სტატისტიკა აჩვენებს, რომ წლიდან წლამდე ფემიციდის შემთხვევების რაოდენობა არა თუ იკლებს, არამედ იზრდება (სახალხო დამცველის ანგარიში, 2020). შესაძლოა ქართული ტოქსიკური კაცურობისთვის კაცობის განმტკიცების ერთ-ერთი წყარო არის ქალების დამორჩილება, რაც ხშირად ფატალურად სრულდება. ეს ჯდება კაცური ყუთის ერთ-ერთ სვეტში, **აგრესიასა და კონტროლში,** რომელიც მოიცავს იდეას, რომ კაცური ნორმები ხელს უწყობს კაცის მოძალადედ ქცევას, რომელიც სხვებისგან პატივისცემისა და კაცურობის სტატუსის შესანარჩუნებლად გამოიყენება ამ უკანასკნელთა მიერ.

დანაშაულისა და მოძალადის გენდერი

როგორც სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ მომზადებულ გზამკვლევ „ქალები და კაცებშია“ მოცემული, მსოფლიო მასშტაბით არსებული ტენდენციის მიხედვით, კაცები გაცილებით ხშირად სჩადიან დანაშაულს. ეს ტენდენცია გამოხატულია საქართველოშიც. ყველა სახის დანაშაულში, მკვლელობიდან დაწყებული, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევით დამთავრებული, მამრობითი სქესის წარმომადგენლები შეადგენენ მთლიანი შემთხვევების 90%-ზე მეტს.

იგივე გზამკვლევში მოცემულია, რომ ბოლო 10 წლის განმავლობაში, სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის შედეგად დაზარალებულთა სტატისტიკა სქესის მიხედვით, არსებითად შეიცვალა. 2010-2022 წლებში დაზარალებულთა უმეტესობას კაცები წარმოადგენდნენ დაახლოებით 55 პროცენტიანი წილით. თუმცა, ოფიციალური მონაცემებიდან ჩანს, რომ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში დაზარალებულ ქალთა წილი სტაბილურად იზრდებოდა და 2022 წელს 48 პროცენტს გაუტოლდა.

[3] https://pog.gov.ge/uploads/eb6f7f93-Femicide.pdf

ის ფაქტი, რომ ბოლო წლებში კაცებზე მეტი ქალი დარეგისტრირდა, როგორც დაზარალებული, დიდწილად უკავშირდება ოჯახში ძალადობის საკითხებს, რომლის ძირითად მსხვერპლებს ქალები წარმოადგენენ. საქართველოში ბოლო ათწლეულის განმავლობაში, ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის ღონისძიებების ფართო სპექტრი იქნა შემოღებული. ამ მიმართულებით გაწეულმა ძალისხმევამ გამოიწვია აღნიშნულ საკითხებში სოციალური ცნობიერების ამაღლების მნიშვნელოვანი ზრდა. შედეგად, 2016 წელს ოჯახში ძალადობის 2 966 რეგისტრირებული მსხვერპლიდან, 2022 წელს ამ მაჩვენებელმა 7 846-ს გადააჭარბა, ტოქსიკური მასკულინობა შესაძლოა გავლენას ახდენს დანაშაულისა და დამნაშავის გენდერზე. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2023 წლის მონაცემებით, მსჯავრდებული 18850 ადამიანიდან, 17686 კაცია და მხოლოდ 1164 - ქალი. დანაშაულების მიხედვით, 2023 წლის მონაცემები შემდეგნაირად ნაწილდება.

	ქალი	კაცი
სულ მსჯავრდებულია	1164	18850
განზრახ მკვლელობა	2	79
განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში	1	54
ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება	6	147
გაუპატიურება	-	34
ძარცვა	7	190
ყაჩაღობა	-	89
ქურდობა	139	3347
ნარკოტიკების უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება	25	2038
ხულიგნობა	1	101
ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან/და ექსპლუატაციის წესის დარღვევა	17	556

სხვა	1966	11051

როგორც ჩანს, მძიმე დანაშაულების უმეტეს ნაწილში კაცები არიან მსჯავრდებულები, განსაკუთრებით ეს ეხება განზრახ მკვლელობასა და განზრახ მკვლელობას დამამძიმებელ გარემოებაში. ქალ დამნაშავეთა უმეტესობა მოდის ქურდობასა და ნარკოტიკების მოხმარებაზე. შესაძლოა, ქართული პატრიარქალური საზოგადოების მიერ ხელდასმული კაცური ძალადობა, რომელიც ტოქსიკური მასკულინობის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია, გავლენას ახდენს დამნაშავეობისა და დანაშაულის სახეების გენდერზე.
ოჯახში მოძალადეთა უმრავლესობაც კაცია (6204), ხოლო მსხვერპლი ქალი (1162). ამ მონაცემებშიც შესაძლოა აღმოჩნდეს ტოქსიკური მასკულინობის საზიანო გავლენები ქალებზე, საქართველოში. რადგან ხშირად საზოგადოება კაცების მხრიდან ძალისა და აგრესიის გამოყენებაზე თვალს ხუჭავს, კაცები თავისუფლად ძალადობენ ოჯახში ქალებსა და სხვა ოჯახის წევრებზე.

მნიშვნელოვანი მონაცემია პატიმართა გენდერული განაწილებაც. 2023 წლისთვის 9497 პატიმრიდან 9172 კაცია, ხოლო 325 ქალი.

კვლევის მიზანი, ამოცანები და მეთოდოლოგია

კვლევის მიზანია, ახალგაზრდა კაცებისა და ქალებისგან ტოქსიკურ მასკულინობაზე სუბიექტური ინფორმაციის შეგროვების ხელშეწყობა, რომელიც სამომავლო კვლევებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია იქნება.

კვლევის ამოცანებია:

- საქართველოში ახალგაზრდა ქალებსა და კაცებში გენდერული განწყობებისა და ცნობიერების შესწავლა;
- ახალგაზრდა კაცების დამოკიდებულებების შესწავლა ძალადობის, განათლების, ჯანმრთელობისა და სხეულთან დაკავშირებული საკითხების

შესახებ. დამატებით, კვლევა ამოცანად ისახავდა ეპოვა რაიმე კავშირი ამ მიდგომებსა და გენდერულ სტერეოტიპებს, ან კონკრეტულად ტოქსიკურ მასკულინობას შორის;

- ტოქსიკურ მასკულინობასთან დაკავშირებული იმ საკითხების დადგენა, რომელზეც საქართველოში ყველაზე მეტად უჭირთ საუბარი ახალგაზრდა კაცებს.

კვლევის დროს ინფორმაცია თვისებრივი მეთოდოლოგიის, კერძოდ ფოკუს-ჯგუფის მეთოდის გამოყენებით შეგროვდა. კვლევის ამოცანა ტოქსიკური მასკულინობის შესახებ ახალგაზრდა ადამიანების ისეთი მოსაზრებების შეგროვება იყო, რომლებიც მათ ტოქსიკურ მასკულინობასთან დაკავშირებით გაუჩნდებოდათ ჯგუფური ინტერვიუს დროს. კვლევას აინტერესებდა, ახალგაზრდების, როგორც სოციალური ჯგუფის აზრი, ერთმანეთის გვერდიგვერდ როგორ სახელებს დაარქმევდა ტოქსიკურ მასკულინობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა სოციალურ მოვლენებს. კვლევაში გამოყენებულია მიზნობრივი არაალბათური შერჩევა. ორგანიზაცია საფარმა ონლაინ გამოაქვეყნა განცხადება, ფოკუს-ჯგუფში მონაწილეობის მსურველთათვის, რომელიც 75 ახალგაზრდა ადამიანმა შეავსო, აქედან 45 იყო ახალგაზრდა კაცი, ხოლო 30 - ქალი. სულ ჩატარდა 6 ფოკუს-ჯგუფი. 2 ჯგუფი ახალგაზრდა ქალებთან და 4 ჯგუფი - კაცებთან. ფოკუს-ჯგუფები ჩატარდა პლატფორმა ზუმის გამოყენებით, მომზადდა აუდიო ჩანაწერები. მონაცემების ანალიზისთვის გამოყენებულია ნარატიული ანალიზის მეთოდი, კვლევის ავტორი ცდილობდა რესპონდენტების თხრობაში მოეძებნა ერთმანეთის მსგავსი აქცენტები და ერთად დაეჯგუფებინა. ქვემოთ მოცემულია კვლევის შედეგები.

კვლევის შედეგები

ზოგადი მიგნებები

კვლევამ გამოავლინა რამდენიმე ზოგადი მიგნება ახალგაზრდა ქალებისა და კაცების განწყობებთან დაკავშირებით.

პირველია, მონაწილეობის გენდერი. აღმოჩნდა, რომ ტოქსიკური მასკულინობის შესახებ ფოკუს-ჯგუფებით დაინტერესდნენ მხოლოდ ისეთი ახალგაზრდა კაცები, რომლებიც არ გამოხატავენ ჰეგემონურ[4] კაცურობას და არ ცდილობენ ჰიპერმასკულინური იდენტობის წარმოჩენას. რესპონდენტები იყვნენ ახალგაზრდა კაცები სუბირდინირებული[5], მარგინალიზებული[6] ან კომპლიციტური[7] მასკულინობებიდან.

მომდევნო ზოგადი სახის მიგნება არის ინფორმირებულობის გენდერი. აღმოჩნდა, რომ ახალაგზრდა ქალები უფრო ინფორმირებულები არიან გენდერის, სექსუალობის, რეპროდუქციული ჯანმრთელობის, სხეულის, ძალადობისა და მენტალური ჯანმრთელობის საკითხებზე, ვიდრე ახალგაზრდა კაცები. გარდა ამისა, ახალგაზრდა ქალები უფრო თავისუფლად და მრავალფეროვანი წინადადებით აღწერდნენ კვლევის დროს განხილულ გენდერულ საკითხებს, ვიდრე ახალგაზრდა კაცი რესპონდენტები. შესაძლოა დაისკვნას, რომ ახალგაზრდა კაცები ან თავის შეკავებას ცდილობდნენ, რადგან ასრულებენ ჩუმად მყოფი, ანუ „ნამდვილი კაცის“ სტერეოტიპს, ან, მათ მართლაც შედარებით ნაკლები ინფორმაცია ჰქონდათ აღნიშულ საკითხებზე, ვიდრე ახალგაზრდა ქალებს. გამონაკლისს წარმოადგენდნენ სუბორდინირებული ახალგაზრდა კაცები, რომლებიც უფრო მეტად ერკვეოდნენ გენდერის, სხეულის, რეპროდუქციისა და სექსუალობის შესახებ.

და ბოლოს, მესამე ზოგადი მიგნებაა რეგიონული და ეთნიკური განსხვავებები. ახალგაზრდა ქალები თბილისიდან, განსაკუთრებით ქართველები, გამოხატავდნენ მეტ ღიაობას, როდესაც საუბრობდნენ გენდერსა და სექსუალობაზე, ვიდრე

[4] http://dictionary.css.ge/content/hegemonic-masculinity;
[5] http://dictionary.css.ge/content/subordinate-masculinity;
[6] http://dictionary.css.ge/content/marginal-masculinity;
[7] http://dictionary.css.ge/content/complicit-masculinity

ახალგაზრდა ქალები, რომლებიც წარმოადგენდნენ რეგიონებს და განსაკუთრებით, ეთნიკურ უმცირესობებს. შესაძლოა სიღრმისეული ინტერვიუს მეთოდის გამოყენების შემთხვევაში ეს მიგნება სხვაგვარი ყოფილიყო, თუმცა, ფოკუს-ჯგუფისას რესპონდენტებს ერთმანეთის ერიდებოდათ და შესაბამისად თავს იკავებდნენ ყველა საკითხზე საკუთარი აზრის დაფიქსირებისგან.

მიგნებები ახალგაზრდა ქალების ჯგუფებიდან

კვლევამ გამოავლინა, რომ ქართველ ახალაგზრდა ქალებში მეგობრობის ფენომენზე გავლენას ახდენს გენდერი. ქალებს ძირითადად ყავთ ქალი მეგობრები. ქალი რესპონდეტების თხრობაში გამოიკვეთა საერთო ხაზი, რომ მათთვის ბიჭებთან მეგობრობა ძალიან არაკომფორტულია, იმიტომ რომ ახალგაზრდა კაცები მათ სექსუალურ ობიექტებად აღიქვამენ. აქ შემოდის ჰიპერსექსუალობის სვეტი, რომელიც ტოქსიკურობის დინამიკას იძენს. ქალები ამბობენ, რომ შეუძლებელია კაცებთან მეგობრობა, იმიტომ რომ კაცები სულ მათთან სექსზე ფიქრობენ, ეს კი ტოქსიკურობაში გადაიზრდება ხოლმე. როგორც ერთ-ერთი რესპონდენტი ამბობს:

> *„ბიჭთან არ ყოფილა შემთხვევა, რომ კომფორტულად ვიგრძნო თავი და მეგობარი დავუძახო. დისკომფორტის გამომწვევი ბევრი რაღაც არის, ჩემი გამოცდილებიდან გამომდინარე ვამბობ, მაგრამ, ვფიქრობ, რომ ანუ, სექსუალური თვალსაზრისით, შეიძლება ხდება საპირისპირო სქესის აღქმა ბიჭის მხრიდან. ყოველთვის არა, მაგრამ ხშირია, რომ ბიჭები სექსუალურ ობიექტად აღმიქვამენ და ვცდილობ, აღარ დავამყარო მეგობრული ურთიერთობა მათთან“.*

სხვა ქალი რესპონდენტი ამბობს, რომ ბიჭებიც ასე ფიქრობენ, რომ ქალსა და კაცს შორის მეგობრობაში კაცის მთავარი მოტივი ქალის სექსუალობაა. როგორც ის ამბობს:

„მეგობარს უთქვამს, ბიჭს, რომ თუ ბიჭი გოგოსთან იწყებს ურთიერთობას, ამ შემთხვევაში ინტერესი ყოველთვის სექსუალურია. უბრალოდ, ეს შესაძლებელია გულრწფელ მეგობრობაში გადაიზარდოს, თუმცა პირველი მიზეზი ეგაო.“

აქვე გამოიკვეთა საინტერესო მოვლენა, როდესაც გოგოებმა ისაუბრეს იმაზე, რომ ბიჭები მათ სექსუალურ ობიექტებად აღიქვამენ და ამიტომ შეუძლებელია მათთან მეგობრობა, ან შედეგად ვიღებთ უფრო უარესს, კერძოდ სექსუალურ შევიწროებას. ამაზე მკვლევარმა ჰკითხა მათ, თუ რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ახალგაზრდა ქალები დაიწყებენ კაცების სექსუალურ ობიექტად აღქმას. ახალგაზრდა ქალებმა თქვეს, რომ ეს მოვლენა ბიჭებს ეგოს და თვითშეფასებას აუმაღლებს და არანაირ უარყოფით მოვლენას არ გამოიწვევს მათში. როგორც ერთ-ერთი რესპონდენტი ამბობს:

„ბიჭები უბრალოდ იფიქრებენ, რომ უფრო მეტ გოგოს მოსწონთ, საინტერესოები არიან, მიმზიდველები და ა.შ.“

ქალების მონათხრობის მიხედვით, ძნელია ბიჭებთან მეგობრობის შენარჩუნება, განსაკუთრებით გარდატეხის ასაკიდან. ეს განპირობებულია არამხოლოდ ჰიპერსექსუალობით, მაჩო და გაუპატიურების კულტურით, არამედ ე.წ. მყარი გენდერული როლებითაც. აღმოჩნდა, რომ ახალგაზრდა კაცები ხშირად ცდილობენ აკონტროლონ ქალი მეგობრები ე.წ. გარდატეხის ასაკიდან. ქალების თქმით, კაცები აკონტროლებენ მათ იმასთან დაკავშირებით, თუ რა აცვიათ, როგორ მოძრაობენ, ვის ხვდებიან და ა.შ. რაც მათი თქმით, მეგობრობას შეუძლებელს ხდის. ქალი რესპონდენტები თანხმდებიან, რომ ჰეტეროსექსუალ ბიჭებს მიაჩნიათ, რომ მეგობარი ქალი მათი გასაკონტროლებელია. ერთ-ერთი რესპონდენტი ამბობს:

„მყავდა ბიჭი მეგობარი, დაქალებისგან არ განვასხვავებდი, მაგრამ საინტერესო ის არის, რომ სიგარეტის მოწევა როდესაც დავიწყე,

გამოამჟღავნა ის ფაქტი, რომ არ უნდა მომეწია სიგარეტი იმიტომ, რომ გოგო ვიყავი, ამის გამო კამათში შევედით და ის სახე გამოაჩინა, რომ თქვა, რომ ბიჭი რომ იყო, მაგიტომ მას ჰქონდა უპირატესობა ჭკუაზე დავერიგებინე და ვეკონტროლებინე და ჩემთვის ეს იყო შოკი. მართლა კარგი მეგობრები ვიყავით, მაგრამ ახლა აღარ ვართ."

ქალმა რესპონდენტებმა თქვეს, რომ ახალგაზრდა კაცებთან იმ შემთხვევაში მეგობრობენ, თუ ისინი მათზე 5-10 წლით პატარები არიან ასაკობრივად, რადგან ასეთ დროს ბიჭები მათ უფროსებად აღიქვამენ და არა სექსუალურ ობიექტებად და აღარ აკონტროლებენ მათ, როგორც ამას თანატოლი ახალგაზრდა კაცები აკეთებდნენ მათ ბავშვობაში. ერთ-ერთი რესპონდენტის მიხედვით:

„ახლა მყავს 7-8 წლით პატარა ბიჭი მეგობრები, იმიტომ გამოგვდის მეგობრობა, რომ ჩვენ იმდენად დიდები ვართ მათზე და ისინი იმდენად პატარები, რომ მათთვის სექსუალური ობიექტები არ ვართ. ხოლო თანატოლ, ან მოძველო ბიჭებს ჰქონდათ გამოხატულება, რომ უნდა ვეკონტროლებინეთ. უნივერსიტეტმა ბევრი შეცვალა, მაგრამ ზოგი იგივე დარჩა. მენატრებიან, ბავშვობის მეგობრები არიან, მაგრამ აღარ შემიძლია მათთამ კომუნიკაცია, იმიტომ რომ მათ ჰგონიათ, რომ მე გოგო რომ ვარ, რაღაცეები ჩემთვის არ შეიძლება. სიგარეტის მოწევა, ურთიერთობა და ა.შ."

მომდევნო მიგნება, რომელიც კვლევამ გამოავლინა ახალგაზრდა ქალების ჯგუფებიდან არის მყარი გენდერული სტერეოტიპები. ახალგაზრდა ქალების მიხედვით, ახალაგზრდა კაცები ქალების მოსაზრებების მიმართ პატივისცემას არ გამოხატავენ სკოლასა და უნივერსიტეტში. ბიჭები გოგოებისგან მოელიან მხოლოდ მოსმენას, შეპასუხების გარეშე და თუ ქალი იწყებს შეპასუხებას, მის აზრს ან არ ისმენენ ახალგაზრდა კაცები, ან არ მოსწონთ, როდესაც მათ ქალები ეპასუხებიან და ცდილობენ, რომ „საკუთარი ადგილი" მიუჩინონ. ქალი რესპონდენტები თვლიან,

რომ ბიჭები იმეორებენ ოჯახსა და საზოგადოებაში არსებულ ფსევდომეცნიერული ინფორმაციით გაჯერებულ პოზიციებს, რომ გოგომ უნდა ითამაშოს მხოლოდ გოგოებთან, კაცი უფრო გონიერია, ვიდრე ქალი, კაცს მათემატიკური ტვინი აქვს და ქალს - არა და ა.შ. ერთ-ერთი რესპონდენტის მიხედვით:

> *„ბიჭი მეგობრები არ მყოლია, იმიტომ რომ თუნდაც ბაღიდან, მობლები და მასწავლებლები დიდ როლს თამაშობდნენ, ბიჭებს რომც ეთქვათ მოდი ითამაშეო, მშობლებს უთქვამთ, აი რად გინდა ბიჭებთან თამაში? მერე ტექნიკურ სასწავლებელში ვსწავლობდი და მათემატიკის მასწავლებელი სულ ამბობდა, რომ აი, ბიჭის ტვინი უფრო კარგია, გენიოსები ბიჭები არიან. მიუხედავად იმისა, რომ გოგოებიც იყვნენ კარგი მოსწავლეები, მაინც ბიჭებს ამჯობინებდნენ. <...> მერე კომპიუტერულ მეცნიერებებზე რომ ჩავაბარე, ეგეც თავიდან ძალიან უცნაურად ეჩვენა ყველას, გენდერულად უთანასწორო სფეროა, ძირითადად ბიჭებისაა და ძირითადი პრობლემები იმ ბიჭებთან, ვისთანაც მეგობრობა მიცდია, მათთაც ფსევდომეცნიერული ახსნები ჰქონიათ, რომ გოგოს ტვინი ისეა მოწყობილი რომ არ აკეთოს მათემატიკა და ა.შ.“*

კვლევამ გამოავლინა, რომ ახალგაზრდა კაცები ერიდებიან საკუთარ მენტალურ ჯანმრთელობაზე საუბარს. როგორც ქალები ამბობენ, კაცებს მენტალური პრობლემები „სიგიჟე“ ჰგონიათ და „უტყდებათ“ გიჟად წარმოჩენის, რადგან სიგიჟე სტიგმატიზირებულია საზოგადოებაში. შესაბამისად, ცდილობენ ჩუმად მოითმინონ ეს პრობლემები და საერთოდ არ ისაუბრონ ამ მოვლენაზე. ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით:

> *„ბიჭებთან შემიმჩნევია, რომ როდესაც რაიმე პრობლემა აქვთ, გოგოებთან არ ლაპარაკობენ, ამბობენ, რომ ეს მამაკაცების, ბიჭების საქმეა და გვერდზე გაიწევენ ხოლმე და გოგოებს არც კი აგებინებენ,*

თუ რაიმე პრობლემა აქვთ, იქიდან გამომდინარე, რომ ეს სისუსტე დამალონ“.

ქალების მიხედვით, ახალგაზრდა კაცებს ძალიან უჭირთ ახალგაზრდა ქალებთან ამ ქალების სექსუალურ გამოცდილებაზე საუბარი. რესპონდენტების მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუ ახალგაზრდა ქალი თავის პარტნიორ ახალგაზრდა კაცს, ან მეგობარს მოუყვება საკუთარ სექსუალურ გამოცდილებას, კაცები აგრესიულები ხდებიან და ცდილობენ ქალების მკაცრს კონტროლს, რომ თითქოს ქალმა სექსუალური გამოცდილება მანამდე უკონტროლიბის გამო გამოსცადა. ერთ-ერთი ქალი რესპონდენტის თქმით:

„მენტალურ ჯანმრთელობაზე, ან სექსუალურ გამოცდილებაზე თუ დამიწყია საუბარი, თუნდაც ხუმრობის სახით, აი, რაღაცა იმპლიკაცია, ჩემ სექსუალურ ცხოვრებაზე თუნდაც, ძაან არაკომფორტული ხდება კომუნიკაცია, ბიჭები ცდილობენ თემა მალე შეცვალონ, ან ფარული მინიშნება მომცენ, რომ თემა არაკომფორტულია მათთვის.“

როგორც ქალი რესპონდენტები ამბობენ, ახალგაზრდა კაცებს განსაკუთრებით უჭირთ საუბარი მენსტრუალურ ციკლსა და სექსუალურ ძალადობაზე. შესაბამისად, არ იციან როგორ დაეხმარონ ქალებს, როდესაც აქვთ მენსტრუალური პრობლემები, ან გამოცდიან ხოლმე სექსუალურ შევიწროებას. ერთი რესპონდენტის თქმით:

„ბიჭებს არანაირი გამოცდილება და ინფორმაცია არ აქვთ ამ მხრივ. ერთ ორგანიზაციაში ორი ბიჭი იყო, რომელსაც ვუთხარი, რომ ციკლი მქონდა და წამალი მჭირდებოდა და ისეთმა გაკვირვებულებმა შემომხედეს, თითქოს სირცხვილი იყო, თან ინტერესი გამოიწვია მათში. ერთ-ერთმა ბიჭმა გამიყვანა და მთხოვა მეჩვენებინა ახალი პაკეტი, გამეხსნა და მეჩვენებინა, ინტერესი აქვთ, მაგრამ არ იციან მაგ

ინტერესით ვის მიმართონ, მშობლებთან ვერ მიდიან, განათლება არ აქვთ სამწუხაროდ სკოლებში, შესაბამისად დაბნეულები არიან.“

ქალი რესპონდენტების მიხედვით, რაც შეეხება ძალადობის მსხვერპლ ახალგაზრდა ქალებთან იმიტომ უჭირთ საუბარი კაცებს, რომ სექსუალური ძალადობა ხშირ შემთხვევაში მათ ძალადობად არ მაიჩნიათ და არ ენდობიან ქალების მიერ მოყოლილ ამბებს. კვლევამ გამოავლინა, რომ ახალაგზრდა ქალები თვლიან, რომ ახალგაზრდა კაცებს დაბალი ცნობიერება აქვთ სექსუალური ძალადობის შესახებ. ერთ-ერთი რესპონდენტის მიხედვით:

„სექსუალურ შევიწროებაზე რთულია ბიჭ მეგობრებთან საუბარი. როდესაც მქონია მასეთი გამოცდილება, რომ აი მეტროში ვიღაც ამეკიდა, შემეშინდა და მამაჩემს დავურეკე, ამისი რაღაცა ის იყო, რომ შეგეშალა ალბათ, კარგად ვერ გაიგე, მოგეჩვენა. ასეთი ფიდბექი რომ მოგდის, მოყოლა ნაკლებად გინდება.“

ერთმა ქალმა რესპონდენტმა საინტერესო ახსნა მოუძებნა ზემოთ განვითარებულ მსჯელობას. მისი თქმით, ახალგაზრდა კაცები შესაძლოა იმიტომ ირიდებენ მეგობარ ქალებთან სექსუალურ შევიწროებაზე საუბარს, რომ მერე ამ ახალგაზრდა ქალმა მათ დაცვა არ მოსთხოვოს. მისი თქმით:

„შეიძლება კაცები იმიტომ უარყოფენ ქალების სექსუალურ შევიწროებას, რომ მათ არ მოთხოვონ მეგობრებმა დაცვა. სახიფათო სიტუაციაში როდესაც ვარ, არასოდეს მიმიმართავს მამაკაცი მეგობრებისთვის, აზრი არ აქვს.“

ახალგაზრდა ქალი რესპონდენტების მიხედვით, კაცებს არ აქვთ სამედიცინო და მეცნიერული ინფორმაცია ქალებისა და კაცების რეპროდუქციული ჯანმრთელობის, სხეულებრივი სტრუქტურის, სექსუალობისა და მასტურბაციის

შესახებ. სანაცვლოდ, როგორც ქალები ამბობენ, ახალგაზრდა კაცები ეყრდნობიან საზოგადოებაში გავრცელებულ მცდარ ზეპირ წარმოდგენებსა და პორნოგრაფიას. მაგალითად, როდესაც საქმე მასტურბაციას ეხება, ქართველ ახალგაზრდა კაცებში გავრცელებულია მცდარი ინფორმაციები, რომ მასტურბაცია იწვევს სხვადასხვა დაავადებებს, მათ შორის უსინათლობას, თავის ტკივილს, მელანქოლიასა და ა.შ.

როგორც ქალმა რესპონდენტებმა ისაუბრეს, მასტურბაციასა და მენსტრუაციაზე ახალგაზრდა კაცები უფრო მეტს ხუმრობენ, მასხარაობენ და ლაზღანდარაობენ, ვიდრე რეალური ცოდნა და ინფორმაცია აქვთ. რესპოდენტების მიხედვით, აღნიშნულ საკითხებს ბიჭები არასერიოზულად ეკიდებიან. ერთ-ერთი რესპონდენტის მიხედვით:

> *„მასტურბაციასა და სხეულებრივ პრობლემებზე ბიჭები უფრო ღადაობენ, ხშირად არ ლაპარაკობენ ამაზე, მაგრამ თუ ლაპარაკობენ, ხუმრობენ. რაც შეეხება მენსტრუაციას, ერთმა ბიჭმა გაიღადავა ძალიან ცუდად, რომ ერთხელ გოგო დავინახეო, რომ წითელი ლაქა ჰქონდაო შარვალზე. თავიდან ვცადე ამეხსნა, რომ არ გამომყვა ამაზე, ძალიან გავბრაზდი. სხვა ბიჭი მახლდა და იმან მკითხა, რატომ გაბრაზდი, ძალიან გამიკვირდაო. არადა ეს ბიჭი, იმ ბიჭებს მიეკუთვნება, რომელიც არ არიან მსგავსი კაცური საზოგადოების წარმომადგენელი. მერე ავუხსენი და მადლობა გადამიხადა. საერთოდ არ აქვთ მსგავსი გამოცდილება. სკოლაშიც ჩანთა რომ გამიხსნია და პაკეტი გამოჩენილა, სასაცილო გამხდარა ეს ფაქტი ბიჭების მხრიდან.“*

ქალები ამბობენ, რომ გოგოები ასწავლიან ბიჭებს სექსუალობასა და რეპროდიუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საკითხებს. ქალი რესპოდენტების თქმით, ბიჭები მოჩვენებით კი არ ცდილობენ უვიცებად წარმოაჩინონ თავები, მათ ამ საკითხებთან დაკავშირებით მართლა არ აქვთ შესაბამისი ცოდნა.

ქალი რესპონდენტების მიხედვით, კაცებს ჰგონიათ რომ რაც უფრო მეტი ურთიერთობა ექნებათ ქალებთან, მით უფრო კაცურებად წარმოჩნდებიან საზოგადოებაში. ეს ეხმიანება ჰიპერსექსუალობის სვეტს. იგივე თხრობის ხაზი გამოვლინდა ახალგაზრდა კაცების ნარატივშიც, რომ ერთდროულად რამდენიმე ქალთან ურთიერთობა საზოაგდოებაში აღქმულია ნამდვილ კაცურობად.

კიდევ ერთი მიგნება, რომელიც ახალგაზრდა ქალების ჯგუფიდან გამოვლინდა, არის ქალწულობის ინსტიტუტთან დაკავშირებული აღქმები. ქალი რესპონდენტები ამბობენ, რომ მართალია ბოლო წლებია ქალიშვილობის ინსტიტუტთან მიმართებით განწყობები ოდნავ დადებითობისკენ იცვლება, თუმცა, მაინც, ახალგაზრდა კაცების უმეტესობისთვის მნიშვნელოვანია ქალწულობა, როდესაც საქმე ოჯახის შექმნას ეხება. ეს ეხმიანება ტრადიციული გენდერული როლების სვეტს. რესპონდენტების თქმით, მიუხედავად გლობალიზაციისა და მოდერნიზაციისა, რომლის ფარგლებშიც არაერთი ცოდნა და ინფორმაცია შემოვიდა სექსუალობასა და სექსუალურ ქცევებთან დაკავშირებით, კაცები მაინც განიცდიან ქალიშვილობის მოვლენას და ეს მათთვის სენსიტიური საკითხია.
ქალების მიხედვით, ახალგაზრდა კაცები ქალებს ყოფენ ორ კატეგორიად, ქალები, რომლებიც არიან სექსისთვის და ქალები, რომლებიც არიან ურთიერთობისთვის. რესპონდენტების თქმით, ასე იქცევიან ყველაზე ღია აღალგაზრდა კაცებიც, რომლებიც შეიძლება ცდილობენ თავი ისე წარმოაჩინონ, თითქოს ქალის თავისუფალი სექსუალური ქცევის მიმღებლობა აქვთ, მაგრამ საბოლოო ჯამში, შეყვარებულად და ცოლად მაინც ისეთ ქალებს ირჩევენ, რომლებსაც სექსუალური გამოცდილება არ აქვთ, ან მალავენ.

ერთმა ქალმა რესპონდენტმა მაგალითად მოიყვანა ქართული რეალური შოუს, პრაიმ ჰაუსის ერთ-ერთი მონაწილე კაცის წინადადება, რომ ამ უკანასკნელს ქალიშვილი ცოლი იმიტომ უნდა, რომ ის მას სხვა კაცებს არ შეადარებს. ამ

რესპონდენტის თქმით, ეს შესაძლოა ტოქსიკური მასკულინობის შედეგია, ახალაგზრდა კაცებს დისკომფორტი და შიში აქვთ, თუ მათ სექსუალურად თავისუფალი პარტნიორი ეყოლებათ. ეს ეხმიანება მკაცრი გენდერული როლების სვეტს.

ქალი რესპონდეტები ამბობენ, რომ სექსუალურად გადამდებ დაავადებებზე ბიჭებს ინფორმაცია და ცოდნა არ აქვთ და ხშირად ქალებსაც საფრთხეში აგდებენ. ერთ-ერთი რესპონდენტის მიხედვით:

> *„გადამდებ დაავადებებს რაც შეეხება, ჩემი აზრით, ბიჭებს არანაირი ინფორმაცია არ აქვთ და მაგათი უმეცრება გოგოებზეც ვრცელდება, რადგან ბიჭები არ იყენებენ პრეზერვატივს და ორივე შარში ეხვევიან საბოლოოდ. უფრო მეტი გამოცდილება აქვთ მასტურბაციაზე, ვიდეოებიდან ალბათ და წლებმაც მოიტანა.“*

ქალების ფოკუს-ჯგუფებმა გამოავლინა, რომ ახალგაზრდა კაცებს ემოციების გამოხატვა და სხვების ემოციების გამოცნობა უჭირთ. თუმცა, გარდა ემოციების გამოუხატველობისა, ერთ-ერთი რესპონდეტის მიხედვით, ახალი ტოქსიკური კაცური მოვლენა არის ის, რომ ქალები და საზოგადოება ზოგჯერ კაცებს ზედმეტ სენსიტიურობას სთხოვს, ვიდრე ეს რეალურად საჭიროა. მეტ ლაპარაკს, ან გულახდილობასაც სთხოვს. არადა, რესპონდენტის თქმით, შეიძლება კაცს არ უნდოდეს ეს გულახდილობა და ესეც ტოქსიკურ მოვლენაში გადაიზარდოს.

ქალების მიხედვით, კაცები ემოციებს ვერ ცნობენ. როდესაც გოგო მეგობრობას სთავაზობს, კაცები ყოველთვის ფლირტად აღიქვამენ ამას და განმეორებითი უარყოფის შემთხვევაშიც კი არ სჯერათ იმისი, რომ სექსუალური კონტექსტის გარეშე სთავაზობდა ქალი მეგობრობას. ქალების მიხედვით, ემოციების სამყაროში კაცებს უჭირთ ორიენტირება, სხვათა ემოციების გამოცნობა და მოქმედებენ ისე, როგორც დასწავლილი ჰიპერსექსუალურობა აიძულებთ.

ბოლო მიგნება, რომელიც ქალთა ფოკუს-ჯგუფმა გამოავლინა, არის უმოქმედო თვითმხილველისა და ახალგაზრდა კაცებს შორის ძალადობის წახალისების მოვლენა. ქალები ამბობენ, რომ სკოლაში როდესაც ვინმეს ჩაგრავენ, ან ძალადობა ხდება, თანატოლები არ ცდილობენ გაშველებას და დაჩაგრულის დახმარებას, ვინაიდან, ეს მათ ძალიან დიდ რისკებთან ჰგონიათ დაკავშირებული. არც დირექცია და მასწავლებლები ცდილობენ მოსწავლე ახალგაზრდა კაცების კონფლიქტში ჩარევას და ხშირად მათ ერთმანეთისა და კონფლიქტის პირისპირ მარტოებს ტოვებენ და მათგან ელოდებიან ამ საკითხის მოგვარებას. ბიჭები კი უმეტეს წილად ძალადობრივად აგვარებენ ასეთ კონფლიქტებს, რაც აგრესიისა და კონტროლის სვეტს ეხმიანება, რომ საზოგადოება ახალგაზრდა კაცებს პრობლემის გადაწყვეტას მარტო და ძალადობრივი გზით სთხოვს. ერთ-ერთი რესპონდენტის მიხედვით:

> *„ბინის კორპუსის სადარბაზოსთან ერთი ბიჭი ცემდა მეორეს, ძალიან საშინელი სიტყვებით აგინებდა და ხალხი ჩვეულებრივ მოძრაობდა და არავინ არ მივიდა გასაშველებლად. რომ დავინახე ეს სიტუაცია, მივედი და ადექი გაანებე თავი, ვიღებ ტელეფონს და პოლიციას დავურეკავ მეთქი. ამ დროს კორპუსის გვერდიდან გამოვარდნენ, ვინც ურტყამდა იმ ბიჭის ძმაკაცები, არ აშველებდნენ მანამდე, ერთი-ერთზე არჩევინებდნენ საქმეს. ჩემთან ერთად გოგო ვინც იყო, ისიც კი მეუბნებოდა, ნუ ერევიო, წამოდიო“.*

კვლევის ანგარიშის მომდევნო ნაწილი ახალგაზრდა კაცების ფოკუს-ჯგუფებიდან შეგროვებული ინფორმაციის ანალიზს ეთმობა.

მიგნებები ახალგაზრდა კაცების ჯგუფებიდან

როგორც ახალგაზრდა კაცების ფოკუს-ჯგუფებმა გამოავლინა, ისინი თვლიან, რომ მათი თაობა უფრო გახსნილი, ღია და მოლაპარაკეა, ვიდრე ათი და ოცი წლის წინანდელი კაცების თაობა. ისინი ამბობენ, რომ ახალგაზრდა თაობას ემოციების გაზიარების პრობლემა ისე მძაფრად აღარ აქვს, როგორც ძველ თაობებს. მათი თქმით, ეს იძლევა საშუალებას, რომ საქართველოში დაიწყოს კაცური საუბრები სექსუალობის, მენტალური ჯანმრთელობის, ემოციებისა და სხვა სენსიტიური საკითხების შესახებ.

ამავე დროს, როგორც ქალების ჯგუფმა გამოავლინა, რომ ქალები ქალებთან უფრო მეგობრობენ და კაცებთან უჭირთ მეგობრობა, იმიტომ რომ კაცები მათ სექსუალურ ობიექტებად აღიქვამენ, კაცებიც უფრო მეტად კაცებთან მეგობრობენ და თვლიან, რომ მათთან უფრო უადვილდებათ მეგობრობა, ოღონდ არა იმიტომ, რომ ქალებს სექსუალურ ობიექტებად თვლიან, უბრალოდ გარკვეული უხერხულობა იქმნება გარდატეხის ასაკის მერე და მათ ბიჭი მეგობრები უფრო ურჩევნიათ საურთიერთობოდ, ვიდრე გოგოები. გარდა ამისა, ახალგაზრდა კაცები ამბობენ, რომ ქალისა და კაცის მეგობრობა საზოგადოებაში არანორმალურად ითვლება. მისი თქმით:

> *„გოგოს და ბიჭის მეგობრობა ამოვარდნილია თითქოს ნორმალურობიდან და ნორმალურობა მოითხოვს, რომ თითქოს, მასკულინური იყოს მასკულინურთან, კაცმა კაცთან იმეგობროს და გოგომ გოგოსთან. ძმაკაცობა კაცური იდენტობის გამოხატვაა და ეს ტერმინებიც ისეა გამჯდარი, ძმაკაცობა და დაქალობა კიდევ უფრო ამწვავებს მაგ ნაპრალს, რომელიც არსებობს თანამედროვე ქართულ სოციუმში, როგორც თბილისში, ასევე მის გარეთ.“*

ქალების ფოკუს-ჯგუფზე გამოვლენილი მიგნება, რომ ახალგაზრდა კაცებს აქვთ ძალიან ცოტა ინფორმაცია რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა და სექსუალობაზე და ძირითადად იყენებენ საზოგადოებრივ მითებს, მცდარ ცნებებსა და ინფორმაციას, ახალგაზრდა კაცების ჯგუფმაც დაადასტურა. ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით:

„არანაირი განათლება არ არის რეპროდუქციული ჯანმრთელობის კუთხით, სკლაშიც კი ახტებიან ამ თემას მასწავლებლები და ბიჭები მხოლოდ იცინიან, ან ღადაობენ ამ საკითხებზე. კაცებს უკრძალავენ საერთოდ ამ საკითხებზე საუბარს. თუნდაც მეგობრებს შორის ძალიან ნაკლებად არის ამ საკითხების განხილვა“.

ახალგაზრდა კაცების ფოკუს-ჯგუფებმა დაადასტურეს ქალების ჯგუფებში გამოვლენილი მიგნება, რომ ქალებს მეტი სამედიცინო და მეცნიერული ინფორმაცია აქვთ სექსუალობასთან დაკავშირებით, ვიდრე კაცებს. ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით:

„ჩემი გამოცდილებით, სექსუალურ განათლებასთან დაკავშირებით გოგოებს უფრო აქვთ სამედიცინო წარმოდგენა, ვიდრე ბიჭებს. არ ვიცი, ეს რატომ ხდება. ჩემი ახსნით, დედები უფრო მეტად ესაუბრებიან ამ საკითხებზე ქალებს, ვიდრე კაცებს და ვფიქრობ, ხშირად ესეც არის ქალთა მიმართ ძლადობის გამომწვევი, რომ დედები არ აძლევენ ინფორმაციას ბიჭებს და ბიჭები უცოდინრობის გამო ბევრ შეცდომას უშვებენ“.

მართალია ახალგაზრდა კაცებმა დააფიქსირეს, რომ მათი თაობა გაცილებით გახსნილია და არ ერიდება ემოციების გაზიარებას, მაგრამ კვლევამ მაინც გამოავლინა, რომ მათ ძალიან უჭირთ ისეთ საკითხებზე საუბარი, როგორებიცაა, სექსუალობა, პოტენცია და მენტალური ჯანმრთელობა. როგორც აღმოჩნდა, მათ საზოგადოებაში არსებული „იმპოტენტისა“ და „გიჟის“ იარლიყების მიწებებისა და შემდგომი სტიგმატიზაციის ეშინიათ. კვლევამ გამოავლინა, რომ პოტენცია/იმპოტენციაზე საუბარი ყველაზე სენსიტიური თემაა ახალგაზრდა კაცების ცხოვრებაში. ეს რა თქმა უნდა ეხმიანება ჰიპერსექსუალობის სვეტს, რომ კაცი ყოველთვის სექსუალურად მოწოდებული უნდა იყოს და ყოველ ჯერზე

ჰქონდეს ერექცია. ამ საკითხს კაცურ საკითხს ეძახიან ახალგაზრდა კაცი რესპონდენტები.

ამავე დროს, კვლევამ გამოავლინა, რომ ტირილი და ემოციების გამოხატვა ჯერ კიდევ აკრძალულია ქართველი ახალგაზრდა კაცებისთვის და ეს სისუსტედ არის მიჩნეული საზოგადოებაში. ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით:

> *„ხშირად უთქვამთ ჩემთვის, რომ აი, ბიჭი ხარ და რა გატირებს. ეს ბევრ იმფორმაციას მოიცავს თავის თავში. თითქოს რაღაცნაირ განცალკევებას აკეთებს გოგოებსა და ბიჭებს შორის, რომ გოგოებისვთის ნორმალურია ემოციების გამოხატვა და ბიჭებისთვის არა. ამიტომ, ბიჭები ნაკლებად ლაპარაკობენ მენტალურ და ფიზიკურ ჯანმრთელობაზე, საზოგადოებისგან არის უფრო მეტი მოთხოვნა, რომ მათ ამას გაუძლონ და მხოლოდ საკუთარ თავში შეინახონ, რასაც ცუდ შედეგებამდე მივყავართ. ფსიქოლოგთან სიარულზეც ქალები უფრო თანხმდებიან, ვიდრე კაცები და ესეც საზოგადოებაში ფესვგადგმული შეხედულებების ბრალია. ბიჭებს არ მოსწონთ პაციენტობა.*

ამავე დროს, კაცი რესპონდენტები ამბობენ, რომ აგრესიულობის გამოხატვა და ჩხუბისთავობა ჯერ კიდევ ითვლება მთავარ კაცურ ქცევად და ვინც ასე არ იქცევა, საზოგადოებაში მასზე ფიქრობენ, რომ კაცური არ არის. ეს ეხმიანება აგრესიისა და კონტროლის სვეტს. კაცებს, უპირველეს ყოვლისა, აგრესიულობით სთხოვს საზოგადოება საკუთარი პოზიციების დაცვას.

მომდევნო მიგნება, რომელიც კვლევამ გამოავლინა არის ახალგაზრდა კაცებზე ზეწოლა, რომ ისინი იყვნენ ნამდვილი კაცები და ამ მიმართულებით, უმუშევრობა წარმოადგენს კაცისთვის ცხოვრებაში ერთ-ერთ ყველაზე მტკივნეულ მოვლენას, რომელიც მძიმე სტრესს იწვევს, ეს კი შემდგომ გადაიზრდება კაცის გენდერული როლის სტრესში. ახალგაზრდა კაცების მიხედვით, კაცებს ყველაზე მეტად ეშინიათ უმუშევრობის და ეს იმდენად დიდი წარუმატებლობაა მათთვის, რომ უმუშევრობის შემთხვევაში, ისინი დეპრესიაში ვარდებიან და ეწყებათ მენტალური

პრობლემები. ეს ყველაფერი კი ძალიან ტოქსიკურია და ანადგურებს მათ პიროვნებას. ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით:

> *„ვფიქრობ არსებობს კი, ხშირად მსმენია მსგავსი რამეები, 18 წლიდან მე კი ვმუშაობ, მარა სხვა მეგობრებსა და ბიჭებზე მსმენია ზეწოლა, ამხელა ხარ და რატო არ გაქვს სამსახური. გოგოებზე ნაკლებად მსმენია ასეთი ზეწოლა.“*

კაცების ფოკუს-ჯგუფზე გამოვლენილი მომდევნო მიგნება არის გარყვნილი კაცის ხატი. როგორც ახალგაზრდა კაცები ამბობენ, საქართველოში არსებობს საზოგადოებრივი რწმენა, რომ კაცის რეპუტაცია უმჯობესდება იმის მიხედვით თუ რამდენად ბევრი სექსუალური პარტნიორი ჰყავდა მას ცხოვრებაში. ეს რა თქმა უნდა თანხვედრაში მოდის ჰიპერსექსუალობის ტოქსიკურ სვეტთან. რესპონდენტების მიხედვით, ჰიპერსექსუალობა იწვევს სექსუალურ ძალადობებს, იმიტომ რომ კაცები ღიზიანდებიან, როდესაც ქალი მათ უარს ეუბნება სექსზე და შესაბამისად, ისინი ამ ქალებს ეძალადებიან, ავიწროვებენ ა.შ. გარდა ამისა ,ჰიერსექსუალობა იწვევს ე.წ. მასკულინურ მითებს. ბიჭები იგონებენ სექსუალურ ისტორიებს და ამას უყვებიან სხვა ბიჭებს, ამ თხრობაში კი შეიძლება რეალური ახალგაზრდა ქალის სახელი და გვარი გამოიყენონ და მას შეუქმნან პრობლემები. ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით:

> *„ჩვენთან ასე თვლიან, რომ რა მაგარი კაცია ვიღაც, ერთდროულად რამდენიმე გოგოსთან აქვს კავშირი, რამდენიმე გოგოსთან არის ერთდროულად და ამიტომ კაცურად მიიჩნევენ“.*

მრავალ სექსუალურ პარტნიორს, როგორც კაცურობის ნამდვილ რეპრეზენტაციას, რესპონდეტების თქმით, ემატება ჩხუბი და რისკიანი ქცევები, მანქანის სწრაფად ტარება და ა.შ. ეს კი შესაძლოა მაჩო კულტურას წარმოქმნის, რომელიც თავისთავად ტოქსიკურია. ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით:

„ზოგისთის ყველასთან დაწოლა „ქულ“ ტიპობას ნიშნავს, განსაკუთრებით მეგობრის თვალში. ჩხუბიც და რისკიანი ქცევებიც, მაგალითად, მანქანის სწრაფი ტარება და უმართავი აგრესია ჯერ კიდევ ითვლება მოწონებად კაცურ ქცევებად.“

კვლევის მომდევნო მიგნება მკაცრ გენდერულ როლებს ეხება. ახალგაზრდა კაცებმა თქვეს, რომ 17-18 წლიდან ქართველ ახალგაზრდა კაცს აუცილებლად უნდა ჰყავდეს შეყვარებული, წინააღმდეგ შემთვევაში, მასზე იტყვიან რომ გეია, ამიტომ ახალგაზრდა კაცებს ზოგჯერ უწევთ შეყვარებულის გამოგონება იმისთვის, რომ თავიდან აიცილონ საზოგადოებისგან წამოსული წნეხი. ასეთივე წნეხი არსებობს ქორწინებაზე. რესპონდენტების თქმით, საზოგადოება ჯერ დაქორწინებას სთხოვს კაცებს, ხოლო თუ დაქორწინებულია ის, მაშინ მოთხოვნა იზრდება, კაცებს აუცილებლად უნდა ჰყავდეთ შვილები. რესპონდენტების თქმით, ოჯახში რეალიზება ერთ-ერთი ყველაზე ტოქსიკური მოთხოვნაა ქართულ საზოგადოებაში ახალგაზრდა კაცების მიმართ. მათ უწევთ შეიყვარონ, დაოჯახდნენ და გახდნენ მამები, თანხვედრაში რომ მოვიდნენ საზოგადოებრივ მოლოდინებთან. ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით:

„დიდი ზეწოლაა ოჯახის შექმნაზე. ძალიან ახალგაზრდობიდან, შორეული ნათესავებიდანაც კი მსმენია, რომ ცოლი როდის უნდა მოიყვანო? დროა, არ ხარ კაცი?!“

სხვა ახალგაზრდა კაცი რესპონდენტიც ეხმიანება ზემოთ განვითარებულ მსჯელობებს. მისი თქმით:

„თუ ბიჭს შეყვარებული არ ჰყავს, ფიქრობენ რომ გეია. განსაკუთრებით, სამეზობლოში ან სანათესაოში. <...> მე პირადად მსმენია, რომ ბიჭი 25 წლამდე უნდა დაქორწინდეს, თუ გადააბიჯებს

სადევნიაო რა და ბავშვი უნდა გყავდეს აუცილებლად, 25 წლამდე სამი ბავშვი (იცინის).“

და ბოლოს, ახალგაზრდა კაცების ფოკუს-ჯგუფმა გამოავლინა, რომ ბოლო ათი წელია, საქართველოში ახალგაზრდა კაცებში მოიმატა შფოთვამ ფიზიკურობასა და სხეულებრივ რეპრეზენტაციასთან დაკავშირებით. ახალგაზრდა კაცებს საზოგადოება სთხოვს მოწესრიგებულ, ნავარჯიშებ და უცხიმო სხეულს. როგორც რესპონდეტები ამბობენ, კაცი კაცურად უნდა გამოიყურებოდეს, ამიტომ, ახალგაზრდა კაცები ძლიან ბევრს წვალობენ და ვარჯიშობენ ფიტნეს ცენტრებში, ასევე ხშირია კუჭის დაპატარავების ოპერაცია და დიეტის მოვლენა. ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით, არაკაცურია საყურე და პირსინგიც:

„ჩვენ დროში ფემინურობასთან ასოცირდება და არაკაცურია საყურე, ან პირსინგი სახეზე. პირადად მაქვს პირსინგი და ხშირად მიმიღია შენიშვნა, თუნდაც თანატოლისგან, თუნდაც წინა თაობისგან, რომ ეს არაკაცურია.“

სხვა კაცი რესპონდენტებიც იზიარებენ ზემოთ განვითარებული თხრობის ხაზს:

„უფრო ნავარჯიშები სხეული უნდა გქონდეს, თუ ძაან გამხდარი ხარ და არ ხარ ნავარჯიშები, რაღაცა, თითქოს კაცურობაში ვეღარ ჯდები რა. აგდებუალად გიყურებენ, განსაკუთრებით თანატოლი კაცები“.

ერთ-ერთმა რესპონდენტმა გაიხსენა, რომ სკოლაში თუ ახალგაზრდა კაცი ძლიან გამხდარი იყო, მას თანატოლები დასცინოდნენ:

“სკოლაში იყო, რომ ვინც გამხდარი, ან უშნო იყო, მას დასცინოდნენ.

და ბოლოს, კაცები თვლიან, რომ სხეულთან და ფიზიკურობასთან არსებული ტოქსიკური მოვლენები ქალების შემთხვევაში უფრო მძიმედ აღიქმება, ვიდრე კაცების. ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით:

> *„სტანდარტები ამ ბოლო სამ წელიწადში ძაან მაღლა აიწია, სხვა ქვეყნებიდან შემოსულ სტანდარტებს ცდილობენ, რომ მოერგნენ კაცები. მათ შორის ეპილაცია. კონკრეტულ სტანდარტს უნდა მიყვეს, როგორიც სხვა ქვეყნებშია. თუმცა ეს ნაკლებად ტოქსიკურია, ვიდრე ქალების შემთხვევაში“.*

ტაბუდადებული თემები

კვლევა ცდილობდა გამოევლინა ის ტაბუდადებული თემები, რომელზე საუბრის დაწყებასაც ამ ეტაპზე ქართველი ახალგაზრდა კაცები თავს არიდებენ. კვლევამ გამოავლინა, რომ მოქმედ თვითმხილველობაზე საუბრის დაწყება ჯერჯერობით შეუძლებელია ქართულ საზოგადოებაში. როგორც რესპონდენტებმა გაიხსენეს, სარისკო და საშიშია ძალადობის სცენებში ჩართვა და გამშველებლად მონაწილეობის მიღება. ერთ-ერთმა რესპონდენტმა გაიხსენა, რომ ის ჩაერია ინციდენტში, როდესაც კაცი ქალს ჩაგრავდა და მერე ქალმაც უარყო ეს ყველაფერი და თავად ეს ადამიანი გახდა ჩაგვრისა და ძალადობის ობიექტი და თან ეს პროცესი დროში გაგრძელდა, რაც, როგორც რესპონდენტმა აღნიშნა, მისთვის ჯოჯოხეთური შიშისა და დისკომფორტის მატარებელი იყო. როგორც ქალები, ასევე კაცები თვლიან, რომ ამ საკითხზე საუბარი ნაადრევია, რადგან თავად ქართული საზოგადოება არ არის მზად მოქმედი თვითმხილველის სოციალური ინსტიტუტისთვის.

მომდევნო ტაბუდადებული თემა არის ჰომოსექსუალობა. როგორც ახალგზრდა კაცმა რესპონდენტებმა თქვეს, ჰომოსექსუალობა საკმაოდ სენსიტიური საკითხია და ტოქსიკურ მასკულინობაზე ლაპარაკის დასაწყებად კარგი თემა არ არის.

რესპონდენტების მიხედვით, ყველა თემაზე უნდა ილაპარაკონ კაცებმა, მაგრამ, საწყის ეტაპზე, უმჯობესია, რომ ჰომოსექსუალობაზე არ იყოს საუბრები.

და ბოლოს, კვლევამ გამოავლინა, რომ რესპონდენტები ყველაზე სენსიტიურ და ტაბუდადებულ თემად თვლიან იმპოტენციისა და ერექციის საკითხებს. მათი აზრით, ამ მოვლენაზე ძალიან ბევრს იტყუებიან ახალგაზრდა კაცები და ამიტომ ლაპარაკის ნაცვლად, სამედიცინო და გენდერული ცნობიერების გაზრდა უკეთესი იქნებოდა მათთვისაც და საზოგადოებისთვისაც.

შეჯამება

შეჯამებისთვის, კვლევამ გამოავლინა, რომ საქართველოში ახალგაზრდა კაცები განიცდიან ზეწოლას „კაცური ყუთის“ შვიდივე სვეტის მიმართულებით. მათ კაცებს უკრძალავენ ემოციების გამოხატვას, ტირილსა და შიშის განცდას, ასევე, ლაპარაკს მენტალურ პრობლემებსა და სხეულის საკითხებთან დაკავშირებით. სანაცვლოდ კი კაცებისგან ითხოვენ ჩხუბისთავობასა და ერთმანეთთან ძალადობრივი გზით საქმის გარჩევას. ნამდვილ კაცურობად აღიქმება ჰიპერსექსუალობა, მრავალი ქალი პარტნიორის ყოლა და მაჩოობა. ახალგაზრდა კაცები მკაცრად იცავენ გენდერულ როლებს, სტერეოტიპებსა და განწყობებს, მათ სურთ ქალების სხეულების კონტროლი და არ უსმენენ ქალებს, არ აღიქვამენ მათ თანასწორებად, როდესაც საუბრობენ მათან. ასევე, შესაძლოა ცდილობენ, გააკონტროლონ მეგობარი, ან პარტნიორი ქალები, თუ ეს უკანასკნელნი გადაწყვეტენ სიგარეტის მოწევას, ან თავისუფალ სექსუალურ ქცევას. კვლევამ გამოავლინა, რომ ახალგაზრდა კაცებს არ აქვთ ინფორმაცია სექსუალობისა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ და როდესაც საქმე მასტურბაციას, ან მენსტრუაციას ეხება, ხუმრობენ და ღლიცინებენ აღნიშნულ საკითხებზე, ნაცვლად საუბრისა და განხილვისა აღნიშნულ საკითხებზე. და ბოლოს, კვლევამ გამოავლინა, რომ საზოგადოება ახალგაზრდა კაცებისგან ითხოვს დასაქმებულობას, ფულის შოვნასა და დაოჯახებას და თუ ახალგაზრდა კაცი არ მუშაობს, შეყვარებული, ან ცოლი და ქორწინების შემდეგ შვილები არ ჰყავს, ჩაგრავს და რიყავს მას, როგორც არასრულფასოვან კაცსა და ადამიანს.

ბიბლიოგრაფია

1. Kimmel, M, (2006), Gender and Society, Oxford University;
2. Rotundi, L. (2020), The Issue of Toxic Masculinity, Department of Political Science;
3. Pascoe, C. J. (2007). Dude, You're a Fag: Masculinity and Sexuality in High School. Berkeley: University of California Press;
4. Pappas, S. (2019). APA issues first-ever guidelines for practice with men and boys. Monitor on Psychology, 50(1);
5. World Health Organization (2008). The Global Burden of Disease: 2004 Update;
6. Eurostat (2018). Life expectancy by age and sex;
7. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებგვერდი: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/54/jandatsva;
8. საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, (2023), თბილისი;